საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030176700446318

№ 01-128/მ **23 / მაისი / 2018 წ.**

ნატო დოლიძის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლისა და 66-ე მუხლის შესაბამისად, ესტონეთში, ქალაქ ტალინში, ესტონეთის პოლიტიკის კვლევების ცენტრისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით დაგეგმილ პროექტში (თემა:„საჯარო მოხელეთა სწავლების ერთიანი სისტემის ხელშეწყობა საქართველოში“) მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 27 მაისიდან 2018 წლის 30 მაისის ჩათვლით (ოთხი დღის ვადით) ესტონეთში, ქალაქ ტალინში, მივლინებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის ეფექტურობის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ნატო დოლიძე.**

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აანაზღაუროს სადღეღამისო ხარჯების ნორმა.

საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას 2018 წლის 23 მაისის №01-11607 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ბოხუა